წელიწადიმეოთხე. № 44. 9 ნოემბერი. 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «იბერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ყორლანოვის სახლებში № 4.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

—

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

«იბერიის» ფასი:

ერთის წლისა, გაგზავნით ან გაუგზავნ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . . — 15.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტფილისი

გამოდის ხუთშაბათობით

F-3051

მომავალ 1879 წლის იანვრიდან გაზეთის „იბერიის“ მაგიერად გამოვა ტფილისში ჟურნალი

ИВЕРІЯ

შემდეგის პროგრამმით:

I. საქართველოს მატიანე: განხილვა თვე-და-თვე ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენის საზოგადობრივს მომდინარე ცხოვრებას და მთავრობითს წარმოებას.

II. საპოლიტიკო მიმოხილვა: განხილვა თვე-და-თვე საზოგადო პოლიტიკისა და აგრეთვე უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადობრივის მომდინარე ცხოვრებისა.

III. რუსეთის მატიანე: დრო გამოშვებით განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება აწინდელ რუსეთის სახელმწიფოის წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებას.

IV. ბელლეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.

V. კრიტიკა.

VI. ბიბლიოგრაფიული ცნობები: მოკლე განხილვა შესახებ ახალ წიგნებისა.

VII. ცალკე წერილები შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა და აგრეთვე შესახებ ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრებისა, წარსულისა და აწინდელისა.

VIII. კორრესპონდენციები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნისა.

„ИВЕРІЯ“ გამოვა თვეში ერთხელ.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში, „იბერიის“ რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4. აგრეთვე გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშუეთის ეკკლესიის ქვემოდან.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „ИВЕРІИ.“

„ИВЕРІИС“ ფასი—წელიწადში: ტფილისში მცხოვრებთათვის . . . . . 11 მან.
გარეშე მცხოვრებთათვის . . . . . 12 მან.
ექვსის თვით: ტფილისში მცხოვრებთათვის . . . . . 5 მ. ან 50 კ.
გარეშე მცხოვრებთათვის . . . . . 6 მ. ან 50 კ.

გაზეთი „იბერია“ დეკემბერში აღარ გამოვა. ხელის მომწერლებს ამ ნომრების მაგიერად დაურიდებათ იანვარში პირველი წიგნი ჟურნალისა. ამის გამო აწინდელ ხელის მომწერლებთათვის ჟურნალის ფასი 1879 წ. იქნება 11 მან.—გარეშე მცხოვრებთათვის და 10 მან.—ტფილისში მცხოვრებთათვის.

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე: წვრილი ამბები. მგზავრის დღიური.—II, საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. რამდენიმე შენიშვნა ქართულის გალობის ნოტებზე გადაღებისათვის.—IV. სახლი იყიდება, მოთხრობა, ალფონ დოდესი.—V. განცხადებანი.

საქართველოს მატიანე

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმ შკოლის თაობაზედ, რომლის გახსნასაც აპირებს ჩვენი „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის." თვით საგანში, მართალია, ღირსშესანიშნავი და თვალ-საჩინო მაგდენი არა არის რა. ვთქვათ, აწმყოფ სასწავლებელთა შორის ჩნდება კიდევ ერთი და მით კიდევ ერთი საშუალება ეძლევა ჩვენს საზოგადოებას მისცეს თვის შვილთ პირველ-დაწყებითი სწავლა. გარდა ამისა, ღარიბ და შეუძლებელ ბავშვებთ ეხსნებათ ცოტად თუ ბევრად სწავლის გზა, რომელიც მათთვის შეკრული იყო სიღარიბისაგან. ყველა ეს მართალია, მეთქი, და ყურადღების ღირსიც, მეტადრე ჩვენს მიყრუებულ ცხოვრებაში, რომელსაც საზოგადო საქმეთა შორის ბევრი კი არა აქვს რა საკვეხნო და თავ-გამოსადები. მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმდენად მაინც არა გართ, მადლობა ღმერთს, მიძინებულნი და იმდენად არ გაგვწყვეტია გრძნობიერება და მხედველობა, რომ ზემოხსენებულ საქმის სიკეთის გაგებისათვის და ყურადღების მიქცევისათვის ბევრი ლაპარაკი და ჩიჩინი გვჭირდებოდეს. არც ამ ჩიჩინისათვის დაგვიწყია ლაპარაკი ახალ შკოლაზედ. ამ საქმეს აქვს კიდევ მეორე მხარე, რომელიც, ჩვენის აზრით, არა ნაკლებ ღირსშესანიშნავია და მნიშვნელობით აღსავსე ჩვენის ცხოვრებისათვის...

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ-მოსწავლეთა შემწეობისათვის" შკოლა იქმნება, როგორც მოგეხსენებათ, მოსამზადებელი სასწავლებელი, ე. ი. იქ მოსწავლე ყმაწვილები მომზადებულ უნდა იქმნენ გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში შესვლისათვის. ეს იქმნება უმთავრესი განზრახვა ამ შკოლისა, თუმცა იქ შეუძლიანთ მიიღონ პირველ-დაწყებითი სწავლა აგრეთვე იმ ყმაწვილთ, რომელთაც მშობლები მის შემდეგ არ უპირებენ სხვა სასწავლებელში მიბარებას. მაგრამ, გიმეორებ, უმთავრესი განზრახვა კი შკოლისა იქმნება ბავშვების მომზადება საშუალო სასწავლებელთათვის. ეს, რასაკვირველია, ფრიად საჭირო საქმეა, მეტადრე იმ შვილების პატრონთათვის, რომელნიც მუდამ სოფელში ცხოვრობენ და მოკლებულნი არიან შვილების აღზრდისა და მომზადების საშუალებას. მაშასადამე, ამ მხრით ხსენებულის საქმის მაღალი მნიშვნელობა ცხადია და უეჭველი. მაგრამ ჩვენი მომდინარე ცხოვრება აღმოაჩენს მრავალ იმ გვარ გარემოებას, რომლის ძალითაც ახალ შკოლას უნდა უსათუოდ მიეცეს კიდევ სხვა მნიშვნელობაც. ვისაც ცოტაოდენად თვალყური უდევნებია საშუალო სასწავლებელთათვის ჩვენში, რასაკვირველია, კარგად ეცოდინება, რომ მრავალი მომზადებული ყმაწვილი რჩება საშუალო სასწავლებლის გარედ მარტო იმიტომ, რომ თვით სასწავლებელში ადგილი აღარ არის. ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ დავამციროთ ახალის შკოლის მნიშვნელობა იმ განზრახვის შესახებ, რისთვისაც არსდება იგი. როგორც ზემოდ ვთქვით, ეს მნიშვნელობა უეჭველია: სრულიად ღარიბ და შეუძლებელ მშობლებთ ეძლევათ ღონისძიება შვილების მომზადებისათვის, გარდა ამისა იმედი უნდა გიქონიოთ, რომ ახალი შკოლა იმ გვარად იქმნება მომართული რომ, მასში მოსწავლე ყმაწვილები უფრო მტკიცედ და ხეირიანად იქმნებიან მომზადებულნი, ვიდრე სხვა კერძო სასწავლებლებში მოსწავლენი. მაგრამ არის, მეთქი, იმ გვარი გარემოება, რომელიც სხვა მნიშვნელობასაც აძლევგინებს ზემოხსენებულ შკოლას; არის, იმ გვარი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილების ღონისძიება სასურველია მიეცეს იმავე შკოლას. თუ აწინდელი საშუალო სასწავლებლები საკმარისნი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელთ გარედ რჩებიან, მაშასადამე საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო გრცელი გზა. აი ამ საშუალო სასწავლებლის სამირკვლადაც უნდა იქმნეს ის შკოლა, რომელსაც აფუძნებს ეხლა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ-მოსწავლეთა შემწეობისათვის;" ამაში მდგომარეობს ის მეორე მაღალი მნიშვნელობა, რომელიც უნდა მიეცეს ამ შკოლას და რომლის ძალითაც

იგი უნდა იქმნეს ყურადღებისა და ფრიადის თანაგრძნობის ღირსი ყველასთვის, ვისაც კი ცოტად თუ ბევრად ენადგლება თვისის ქვეყნის ბედი თუ უბედობა. ამ ჟამად, სხვა და სხვა მიზეზის გამო, ვერ გაგიწევთ ვრცელ საუბარს ამ საგანზედ. აქ მხოლოდ საგანსა ვდებ, რათა მოვაგონოთ მკითხველ საზოგადოებას რა გვარი მნიშვნელობა ეძლევა ახლად დაწყებულ საქმეს, თუ ჯერობამ ყურადღებას მისცემს მას და არ მოაკლებს თვის თანაგრძნობას. ვერ მოგიყვებით აგრეთვე ლაპარაკს მასზედ თუ რა გვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენის ქვეყნისათვის ჩვენს საკუთარ საშუალო სასწავლებელს...

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგებელ კომიტეტისაგან.

1879 წ. იანვარში იხსნება ქ. ტფილისში შკოლა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ვაჟების მოსამზადებლად საშუალ-სასწავლებელთ (გიმნაზიების) პირველ კლასისათვის.

ჯერ ჯერობით შკოლა გამართულ იქმნება ოთხმეტის ვაჟისათვის, რომელთა შორის ოცდა ათი შიგ შკოლაში იქმნებიან დაბინავებულნი და ორმოცდა ათი მოსიარულენი. შიგ მცხოვრებთა შორის ათი იქმნება უფულოდ, ე. ი. „საზოგადოების“ ხარჯით; თხუთმეტი თავიანთ ხარჯით, რომელთაც უნდა შეიტანონ ოც-ოცი თუმანი წელიწადში; ხუთიც იმისთანა ყმაწვილი, რომელთაც შეუძლიანთ შეიტანონ ამ ფულის მხოლოდ ნახევარი, ე. ი. ათი თუმანი. მოშსვლელ შეგირდებთა შორის თხუთმეტი ისწავლის უფასოდ, ე. ი. „საზოგადოების“ ხარჯით, დანარჩენ ოცდა თხუთმეტმა ყმაწვილმა უნდა შეიტანონ თითომ წელიწადში სამი თუმანი სწავლის ფული. ყველა ეს ფული შეტანილ უნდა იქმნეს ექვს თვეში ერთხელ წინადვე. შკოლაში მიიღება ყველა წოდების ყმაწვილი. „საზოგადოების“ ხარჯით მიღებულ იქმნებიან ამა „საზოგადოების“ წესდების პირველ მუხლის ძალით ის ყმაწვილები, რომელთა მშობლები არიან საზოგადოების წევრნი და ცხოვრობენ ტფილისის გარედ. შკოლაში მიიღება ყმაწვილი შვიდის წლიდამ ვიდრე ათ წლამდე, და იმ განყოფილებაში, რა განყოფილებასაც შეეფერება მისი ცოდნა და წლოვანობა.

არზა ყმაწვილების მიღების თაობაზედ უბრალო ქაღალდზედ უნდა იქმნეს დაწერილი გამგებელ კომიტეტის სახელობაზედ და მიეცეს ან „საზოგადოების“ თავმჯდომარეს დ. ლ. მამაცოვს კუკიაში, საკუთარ სახლებში, ან სეკრეტარს, ნ. დ. ქანანოვს, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4.

არზას თან უნდა წარმოადგინოს დაბადებისა და ნათლობის მოწმობა მოძღვრისაგან.

ვისაც დაწვრილებით ჭსურს საქმის გაბოძიება შეუძლიან მიმართოს ან „საზოგადოების“ თავმჯდომარეს ან სეკრეტარს.

მოგეხსენებათ, რომ შეტერბურღიდამ, უფ. სინოდის მიერ, გამოგზავნილი იყო რევიზორი ჩვენის ქვეყნის სასულიერო სასწავლებელთ დათვალიერებისათვის, გამოკვლევისათვის, თუ რა მდგომარეობაში არიან იგინი, როგორ არიან მოწყობილნი, აგად თუ კარგად და სხვ. რა აზრი მიუძღვის წინ ამ ცხრა მთას იქიდამ გამოგზავნილ რევიზორს, რა თვალით უყურებს ჩვენის ქვეყნის ავ-კარგიანობას საზოგადოდ და სასულიერო სასწავლებელთ ცალკე, რას ნიშნავს მის თვალში კარგი და რას ნიშნავს ავი—ღმერთმა უწყის. ამ გვარ მოდგაწეთა გული ბნელია, როგორც ღამე. მე ვიცი მე და შენ დაგვეკითხება—უცხო კაცი ვარ და თქვენი აზრიც გამაგებინეთო. შენ არ მომიგდე. უცბად გაჩნდება, მიიყვლის, მოიყვლის და აგრეთვე უცბად გაქრება საზმარივიდ. კაკა რამდენიმე ხანი და რევიზორის ხსენებაც არსად არ იქმნება; საქმის მიმდინარეობა და წარმოება ერთი და იგივეა. მაგრამ ეს მხოლოდ ისე გვეჩვენება ნამდვილად კი იმ თვალ-გაუწვდენელ სიბნელეში, რომლითაც გარემოცულია რევიზორთა მოქმედობა, რაღაცა კეთდება და უცბად ჭეოფს თავს ჩვენდა გასაოცრად და ზოგჯერ ჩვენდა სამწუხაროდაც. მაგალითისათვის შორს წასვლა და ბევრი ძებნა არ დაგვჭირდება. აი რას გვითხულობთ „დროებაში“ (№ 226): „ჩვენ გვითხრეს, რომ უფ. მინდესის სინოდისაგან გამოგზავნილ რევიზორმა, რომელიც ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიის სასულიერო სასწავლებლების ათვალიერებს, წინადადება მისცა

ამ სასწავლებელთა ზედამხედველებსაო, რომ ქართულის ენის გაკვეთილები შეამცირონ ყველა კლასებში და მის მაგიერად რუსულის ენის გაკვეთილები მოუმატონ. ამბობენ, რომ გარდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, ყველა სხვა სასწავლებელში უკვე მალა-უნებურად აუსრულებიათ ეს უფ. რევიზორის წინადადება—ბრძანება. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს კი ის აზრი შეუტანია, რომ ქართულს ენის გაკვეთილების მოკლებას ის ემჯობინებაო, რომ ლათინურსა და ბერძნულს მოაკლონო და რუსულს მოუმატონო, რადგან ეს ენები ჩვენებურს სასულიერო წოდების პირებისათვის, რომელნიც ამ სასწავლებლებიდამ გამოდიან, თითქმის გამოუდეგარი არის ცხოვრებაშიო და უქართულოდ კი საქართველოს ხალხის ბოძღვრებს თავიანთი სამღვთო მოვალეობის ასრულება არ შეუძლიანთო და სხვ.“. ეს ამბავი სანდო პირთაგან შეუტყვია გაზეთს „დროებას.“

დალოცვილს, ამოდენა გზა რომ არ გამოევლო პეტერბურღიდამ და ხარჯი არ გაეწევინებინა სახელმწიფო ხაზინისათვის, განა იქ ვერ გამოაცემინებდა განკარგულებას—ქართულის ენის სწავლება უნდა შემცირდესო საქართველოს სასულიერო სასწავლებლებშიო? მაგრამ, რა პასუხია; ამ გვარი ცხრა მთას იქიდამ, შორიდამ მოქმედობა წინდაუხედაობისა და გულ-მსუბუქობის ნიშანი იქმნებოდა და არა დამჯდარ მოღვაწის შესაფერი. ამიტომ ადგილობრივი დათვალიერება უსათუოდ საჭიროა, რომ თვით ადგილზედ დამტკიცდეს და საკუთარის თვალით დაინახოს რა არის საჭირო და რა არა. აი უფ. გრიგოროვიჩი თვით ადგილზედ, საქართველოში დარწმუნებულა, რომ ქართული ენა საჭირო არ არისო და მისი სწავლება შეიძლება შემცირდესო. უფ. კერსკიც, უწინდელი რევიზორი, ამაშივე დარწმუნებულა თურმე. კაი ამბავს კი მიუტანს, ღვთის წინაშე, რევიზორი თვის უფროსებს, რომელთაც თუ აქამდისინ როდესიმე ეჭვი ჰქონდათ ამ საგანზედ, ეხლა, როდესაც თვით ადგილზედ შეკრეფილი საბუთები ეჭირებათ ხელში, აბა რაღა კითხვა უნდა, რომ სრულიად დარწმუნდებიან—მართლა ქართული ენა საჭირო არა ყოფილაო საქართველოს სასულიერო სასწავლებელშიო.

ყველა ეს საცინელი იქნებოდა იმისთანა მძიმე საგანს რომ არ ეხებოდეს და სამწუხარო შედეგი რომ არ მოსდევდეს. ამ შემთხვევაში „დროებას“ უნდა დავეთანხმოთ და მასთან ერთად აღვიაროთ ის გასაკვირველი სხვა და სხვაობა მიმართულებისა ერთსა და იმავე საქმის შესახებ ერთსა და იმავე ქვეყანაში. ერთის მხრით თითქო დამკვიდრებულია და წესადაც არის დადგენილი ის აზრი, რომ ქართული ენა არამც თუ მეტი არ არის, არამედ ამ ენაზედაც უნდა იყოს სწავლა კლასებში. მეორეს მხრით—ეს დევნა და რისხვა ქართულის ენისა.

მგზავრის დღიური.

ბათომისკენ *)

I

ქუთაისის რკინის გზის ტოტზე მატარებელი აგერ ორი საათია რაც მზადაა, დაჭკივის, დაქშენის ქუთაისის სადგურზე, თითქოს სულ წასვლით ეჩქარებოდეს სწრაფად გაწევა რიონის სადგურისკენ მასში მჯდომ ხალხის მისაყვანად და მაგიერის მოსაყვანად, მაგრამ ნებას რომ არ აძლევენ, ამ კივილით და ქშენით ანცხადებს თავის უკმაყოფილებას.

აი, როგორცაა ხალხი ბევრი კაი-ვაგლახის და გვერდების მტვრევის შემდეგ მორჩა ბილეთების აღებას და ოფლ-დასხმული ეშურება ვაგონებში ჯდომას; მაგრამ კასსასთან უფრო წევა-გლეჯა აქ შეიქნა ადგილის შოვნისთვის.

— დასწყევლოს ღმერთმა, ამბობს ქართველი, კაის გაეყარე და ვუის შეეყარეო რო იტყვიან, ესე მოგვდის ჩვენც—მგონი ყარსის აღებასაც არ დასჭირვებია ამდენი ჯაფა, რამდენიც ჩვენ ბილეთების აღების დროს მოგვიხდა,—ამან შენი ჭირი წაიღოს—ვაგონებში ადგილს ვერ ვშოვილობთ! ეს რა კანონია თქვენი ჭირიმე! ი, ბაშიბუზუკობაა თუ? გაცხარებით დაატანა მან, როდესაც ადგილისვე ამაოდ მძებნელმა გერმანიელმა, სარჩოსთვის შორეულ სამშობლოდამ გარდმოხვეწილმა Donerwetter'-ს ბუტ-ბუტით ფეხი ფეხზე დაადგა.

მარტო ეს ერთი კი არ ჩივოდა აგრე, არამედ ყველა..... სწორედ მოსაწონია ჩვენის რკინის გზის გამგეობის განკარგულება: შეგროვდება თუ არა ასიოდე კაცი ბი-

*) ბათომი და არა ბათუმი.

ი—ა ი—ძე.

ლეთების საყიდველად, იმ რიგი გვერდების მტვრევა შეიქნება კასსასთან, რომ ვეჭვობ მასზე უფრო ინგლისის რომელიმე შფოთიან მიტინგის დროს იყოს; და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო ერთი კასსაა და ერთიღა კაცი ჰყიდის ბილეთებს. ამას თავი დავანებოთ, თუმც დასანებებელი არ არის, მაგრამ იმაზე როგორ არ გვმართებს საჩივარი, რომ საკმაო ვაგონები არ არის და მგზავრნი იძულებულნი არიან ფეხზე იდგნენ და ან ერთმანეთს მუხლებზე აჯდნენ. განა ბევრი შრომა დასჭირდება რკინის გზის გამგეობას ეს ორივე უსიამოვნებანი აგვაცილოს? მაგრამ, როგორც რვა წლის მაგალითიდამ სჩანს ის მარტო თავის ჯიბეზე ჰზრუნავს და მგზავრების შეუწუხებლობა არ ჰსურს გაიტაროს აზრადაც. ..

როგორც იქნა 7 საათს რკინის გზის მატარებელი კივილით დაიძრა ქუთაისის სადგურიდამ და დაადგა რიონის სადგურისკენ მიმავალ გორის გზას. რამდენიმე წამის შემდეგ მან შეჰყო თავი საჯორიის ესრედ წოდებულ „ტყეში,“ რომელსაც შეადგენს მეჩხერად მოფენილი წვრილ-წვრილი ხეები—ეგ საბრალო ნაშთები ოდესმე დიდებულ და სახელოვან საქართველოის მშვენიერი ტყისა. რამდენიმე წამის შემდეგ იგი მიგვაქანებდა რიონის პირად, მერმე გორიდამ ვაკეზე დაეშვა, მომეტებულ სისწრაფით გაჰქანდა და რომ გაჩერდა ჩვენ გახლდით რიონის სადგურზე, სადაც მეოთხედ საათის შემდეგ გადავჯექით ფოთისკენ მიმავალ მატარებელში, რომელმაც გაგვაქანა დასავლეთისკენ, რომლის ერებს, წმინდა გრძნობებით აღელვებულის სიმწრით მიჰმართავს ჩვენი პოეტი შემდეგ სიტყვებით:

....„დასავლეთის ქრისტესა ერნო, თქვენ რას შვრებოდით,
როცა თქვენს თვალ-წინ ქრისტეს სჯულითვის ჩვენა ვსწყდებოდით?“

და თვითონვე ჭეშმარიტად ჰპასუხებს:

...-„სასახლეთ კეკლუცთ დიაცთ უძღვნიდნენ ქებას....“

რიონის უხვ-მოსავლიანი ჭალა, რომლის სიგრძის მიყოლებით მიჰკურცხლავდა მატარებელი, იყო გარემოცული ღამის ბინდით და სამარის დუმილით, რომელსაც არღვევდა მხოლოდ ვაგონების ჩახუნი და მასში მჯდომ მეგრელებისა და იმერლებისაგან გამართული სიმღერები „კუჩხა ბედნიერა“ და „მრავალ-ჟამიერ,“ რომელთაც მოხსენებულ სურათთან „ძალუძთ გული გაგიხუროსთ, სევდაც გიათიათასნონ.“

მაგრამ, აი მატარებელმა ისე მსწრაფლად როგორც მოვიდა, დასტოვა ეს ალაგი და იმერეთის ვრცელი ვაკე, რიონის ჭალად წოდებული, რომელზეც მეფობს სამარის დუმილი და გადაფარებულია ღამის ბინდი—მოგაგონებსთ ზღვას—რომელზეც სუფევს უკიდურესი სიწყნარე, არ ქრის არც ოდნავა ნიავი და მისი პირი ჰგავს სწორე აბურთებულ სარკეს და უცებ, ბუნების მიზეზის გამო, ეს სურათი იცვლების და მაყურებელს წარმოუდგება თვალუწვდენელი, წეღან მშვიდი დაწყნარებული ზღვა—ეხლა კი აღელვებული, ბღავილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელი, ვაის შემყრელი და მტვრად მქცეველი მასში მცურავისა......

აგერ ჩაიარა დაგვიანებულმა გლეხმა, რომელიც სადღაც სამუშავოდ ყოფილა, და სახლისკენ მიეშურება თოხით მხარზე, სატევარ ჩამოკიდებული, წელში გაღუნული და იმ რიგ სახის მეტყველებით, რომელიც ცხადად ამბობს, რომ „ჩვენ ბუნების და კაცად კაცურის უწმიდესს სჯულთა დაცვის დროს დავეცით, დავეცით ჩვენი სახელის საღირსოდ, მამაცურად, იარაღით ხელ-ში, და სამყოობადოდ ამავე იარაღით უნდა წამოვდგეთ. მანამდის კი, იმდენად უნდა ვიმუშავოთ, რომ ნამუშევარმა სიცოცხლე გაგვატანიოს და იმოდნად უნდა ვადევნებდეთ თვალ-ყურს მეცნიერების წარმატებას და ვითვისებდეთ მას, რამდენადაც საჭიროა იგი განუსაზღვრელ დამოუკიდებლობის (ვამბობ ნივთიერზე) მისაღწევ იარაღად“....

ამისთანა რეალური სურათების წარმოდგენაში და მისგან მოვლენილ ფიქრებით გართული ვიყავი, როდესაც მატარებელმა ყურს წარმტაცი კივილის ორი წამის შემდეგ გაგვაჩერა სამტრედის სადგურზე, რომელიც შეადგენს სოფელ კულაშის ნაწილს და სახელწოდებას სამტრედია მიუღია მასში ყოფილთ მრავალ მტრედებისაგან, რომელთაზე სანადიროდ აქ იკრიბებოდნენ მთელი იმერეთიდამ.

აქედამ ორს მხარესაა გაყვანილი გზა-ტკეცილი: ერთი ჩრდილოეთით დ. ხონისკენ და მეორე სამხრეთ-დასავლეთით ოზურგეთისკენ. ორივე იგინი გაყვანილია სოფლელებისგან, ინჟინერთ გეგმასამებრ, რომელნიც ამისთვის განგებ იყვნენ გამოწვეულნი. თუმც მათთვის თითო სულზე დღეში აბაზი იყო დადებული მმართებლობისგან, როგორც გვაუწყებდა წარსულ წელს გაზეთი „დროება“, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ არც ერთ იმერელს და გურულს გლეხს ერთი ფლურიც არ მიუღია გზის მთელი მუშაობის დროს. მაშინ, როდესაც იგინი თითო-ოროლ კვირაობით შორდებოდნენ სახლებს და ხშირათ საგზალ

მოკლებულნი, მუცელ-ცარიელნი ფერდზე-ფერდის მიკრულნი, სიმწრის ოფლის მღვრელნი, ხან სიცხე-პაპანაქებაში, ხან წვიმის ღვარში ერთგულად მუშაობდნენ გზას, მათ არ ეძლევოდათ მათი ხვედრი აბაზი, მმართებლობისგან დანიშნული, ვისაც ფული უნდა დაერიგებინა, ერთმა მშვენიერი მაღაზიები გამოჭიმა . . . . ქალაქში, და მეორეს ცოლი კი ყოველ ღამობით ას-ას მანეთობით აგებდა ქაღალდში! აი, ღმერთო, ერთი იმისთანა დაწესებულება დაარსდებოდეს ჩვენში, რომელიც ვალდებული იქმნებოდეს ბობოლაების (მაინც) კანონიერ შემოსავალ-გასავალს თვალ-ყური ადევნოს და, როდესაც უკანასკნელი გადააჭარბებს პირველს, (რასაკვირველია უკანონო შემოსავლის წყალობით) ეტყოდეს: „დაგვრჩი ხალხის მყვლეფელო! მიბძანდი კამჩატკაში!“ მაგრამ ვიდრე ეს ნატვრა აგვისრულდებოდეს ბევრი კოკა წყალი ჩაივლის და როგორ არ გვეთქმის „O tempora, o mores o Diis immortalis!“

ათი წამის შემდეგ სამტრედიას მოვშორდით. ვაგონებში გურულების და იმერლების რიცხვმა იკლო, რომელნიც ჩამოხტნენ ამ სადგურში, შემდგომ დილისთვის გასამგზავრებლად თავ-თავიანთ სახლებისკენ; მოემატნენ მხოლოდ მეგრელნი.

ერთი ახლად ჩამოჯდომილთაგანი, რომელნიც ჩემს გვერდს დაჯდა, იყო ხონელი ვაჭრის ნათესავი, რომლისთვისაც მას ჩაეტანა ჩვენებური ხელთ-ნამოქმედარი საქონლები და ეხლა შინ, სოფ. ზანათში ბრუნდებოდა.

— რასა იქთ, როგორ სცხოვრებთ თქვენს ზანათში, ვჰკითხე მას.

— ნწა, როგორ უნდა ვცხოვრებდეთ, ჩქიმი ჯიმა, ერი ჩვენ არ გვივარგა და ბერი, დიდი პატარას სჩაგრავს და პატარაც თავის ტოლს მახეს უგებს....

— როგორა, ერთი კარგად გამაგებიე თუ კაცი ხარ!..

—„რავა როგორ, სქანი ჭირი მა, ერთი ჯოღორის კუა ხუცესი გვყავს, ლაზარე ოდიშარია ჰქვიან და სულ გათეთრებულია და რამდენი ბოვში მოუნათლავად, რამდენი კაცი უზიარებლად მოჰკლა იმას ვინ დაითვლის! ამათ გარდა ქრთამებს იღებს და იმისთანა სიმთვრალე იცის, რომ როგორც მოწონებულმა ღორმა...“

— მაგრე თუა საქმე, რატომ არ უჩივით ყოვლადსამღვდელოსთან...

— „როგორ არა, ჯიმა, ყოვლადსამღვდელოსთან კი არა საქმე ახლა სინოდის კანტორაშია და ლაზარე ოდიშარია დღე-დღე მოელის გაკრეჭას...“

— მართალს ამბობ?

— „მართალს ვლაპარაკობ ღორონთიმე. რაც ვთქვი სულ საზოგადოებისგან დამტკიცებულია და „როებს“ გაზეთშიაც დავაბეჭვდინეთ. ..“

... „კიდო რა გითხრა ამ ხუცესზე: ერთი ყაძახი მივიდა მასთან, უცოლობის მოწმობა მომეციო, ცოლის თხოვნა მინდაო მეორე საზოგადოებაშიო. იმ სულის წასაწყმენდმა სანამ 50 კაჭ-კაჭი მან. არ დაათვლევინა მანამ არ მისცა მოწმობა და თანაც დააფიცა, რომ არავის უთხრაო, მე რომ 50 მ. გამოგართვიო. ყაძახმა ოთახში ქე დაუფიცა, მაგრამ კარში როგორც გამოვიდა, მაშინათვე იყვირა ასე მიქნა ლაზარე ოდიშარიამო....“

მან კიდევ განაგრძო საუბარი, მაგრამ მე აღარაფერი გამიგია რა, ისრე გამიტაცეს გულ-მოსაკლავთ და ღვიძლ დამდაგველთ ფიქრებმა....

ის სამღვდელოება, რომელიც საქართველოში მშვენიერი ჰკაერის დგომის დროს (მიხვდი) შეადგენდა ერთს დასს სამშობლოის მოწინავე საზოგადოებისა, რომელსაც მაღლად და მაგრად ეჭირა თავისუფლების და ჭეშმარიტის განათლების წმინდა დროშა, რომელიც გასაკვირველის მხნეობით ებრძოდა ყოველს უგვანს საქმეს, და შეჭურვილი ზესთაებრივი ძალ-ღონით ამხნევებდა ჩაგრულებს, ხელს უწყობდა შეფერხებულთ, ავრცელებდა და იცავდა ხალხში აზრსა სიპატიოსნისას, აზრსა სამამულისშვილო და ზნეობითის უმანკოებისას, ამ დედაბურჯს ყოველი კეთილ განწყობილი ხალხის ცხოვრებისას და შთამომავლობისას;—დღეს ეს სამღვდელოება სულით დაცემულია და—ვაი იმის თქმას და მისს მოსმენას—დაცემულია თვით ერზე უფრო დაბლა, ე. ი. ეგრე, რომ მასზე უდაბლესად დავარდნა შეუსაძლოა. დღეს იგი ნაცვლად ზემოხსენებულ ქველობისა და კაცად კაცურის მაგალითებისა იძლევის ჯოჯოხეთისკენ დამყენებელ მაგალითებს და ჰტოპავს ბილწთა საქმეთა მორევში...

დიაღ, უფალო რედაქტორო, უფ. ცენზორო და საყვარელნო მკითხველნო, დღეს ამ რიგი სამღვდელოებაა ჩვენში და ყველა აქ თქმულის საფუძვლად მე მაქვს, უკეთ ვსთქვათ ჩვენ გვაქვს ასი ათასი კი არა, ათი ათასი ამის დასამტკიცებელი ფაქტები, რომელთა გახსენების შემდეგ ლაზარე ოდიშარია ლამის უმანკოების კრავად წარმოგვიდგეს...

იქნება ვინმემ თქვას რომ, ნუ თუ რამოდენიმე ხეირიანი წევრი არ არის მათ შორისო? კია, ბატონებო,

მაგრამ მათი რიცხვი წვეთია ოკეანეში, რომელნიც როგორც წვეთი უძალ-ღონონი არიან...

ამ ჩემს დარდიმანობაში მატარებელს უკვე ერთი სადგური (ახალსენაკის) გაეარა ისე, რომ მე არც შემინიშნავს. როდესაც უკანასკნელ საშუალ-სადგურს ვუახლოვდებოდით კონდუკტორებმა ბილეთები გამოგვართვნენ, თუმც რიგი და კანონია, რომ ბილეთები ამ საშუალ სადგურის იქით უნდა მოეთხოვნათ, მაგრამ, როგორც ერთმა გურულმა წამოიძახა ,,ამას იმიზა შვრებიან, რომ ამ საშუალ-სადგურთან ჩამოჯდომილების ფული თვითონვე ჩაიდვან ჯიბეში.“

აქა მივუახლოვდით ჭალადიდს, რომლისთვისაც ,,ჭალა—მწყურნეთა“ რომ დაეთქვათ უფრო მართალი იქნებოდა, რადგანაც იგი წარმოადგენს შეერთებულს მწყურნეებს, თუ ჭომპოებს მეჩხერი ტყით მოფენილს, რაისა გამოც მისი ჰაერი მომაკვდავია და ჭეშმარიტად ითვლება ციებ-ცხელების ბუდეთ. საზოგადოთ შავი ზღვის, ანუ ქართულად ვსთქვათ გურგენის ზღვის ნაპირები ითვლებიან ცუდ საჯანმრთელო ადგილებად და მათ შორის ფოთს მისი მიდამოებით, ამ თვისებით ყველა უპირატესობას აძლევს.

შუაღამე იყო ფოთს რომ მივედით და მისს სადგურში ჩამოვხტით, როგორც ყველგან ისე აქ მეფაეტონებმა და მედროგენმა თუ ხამად დაგინახესთ პირველი მათგანი ერთს მანძილზე 2 მანეთს აგართმევს და მეორე 1 მანეთს. თუ მათი ცუღლუტობა იცით, შეიძლება რომ ამ ფასების ნახევრამდე ჩამოიყვანოთ, თუმც მაშინაც კანონიერ ფასზე მეტი მოუგვათ.

ფაეტონმა გამიყვანა ნახევარ ვერსტის სიგრძე, მთელ საქართველოში უმშვენიერეს რკინის ხიდზე, რომელიც შუაში გემების გასაროონინებლად, თუ საჭიროა, გაიხსნება. ამის ნაკლულევანება ისაა, რომ ერთობ ვიწროა: ერთი ფაეტონი და ორი ქვევითი კაცი თუ გაივლის ერთად იგიც კარგია. იმას გადება რამოდენიმე წელს გაგრძელდებოდა ნელის მუშაობის გამო და კვლავაც გაგრძელდებოდა თუ არა უკანასკნელი ომიანობა, რომლის მართებლობამ დააჩქარებინა მუშაობა და 1876 წ. ხიდი დასრულებულ იყო.

ფაეტონი გაჩერდა ,,კავკასის“ სასტუმროსთან, რომ ჩამოვხტი და ის იყო შევდიოდი, კარებთან, ვიღაცამ მომაძახა დამტვრეულის რუსულით: ლოსპოდინ უ მნე ხაროში დომ ქსთუ ი დეშოვა კომნე პოჟალით.

ვიღაცა ხარ ქრისტიანულებრ მესაუბრე, მე ქართველი ვარ, ვუთხარი მას, რომელიც როგორც კილოთი ეტყობოდა მეგრელი იყო.

— უი, ჯიმა, დასწყევლოს ღმერთმა ვინც მეგონე მისი ხსენება... ბატონო, ჩემს სახლში წამობძანდით, კარგად მოგასვენებთ. თუმც გასტინიცა არ მაქვს, მაგრა ჩემსა სახლში უფრო პატიოსნად მეისვენებთ, ვახშამი კი შეგიძლიათ სასტუმროში მიირთოთ...

— ქირას რას გამომართმევთ?

— 1 მ. 50 კ.

ეს სასტუმროს ფასზედ უფრო იაფი იყო და ამიტომაც მე დავთანხმდი და წავყევი და არც მინანებია. გირჩევ, თუ შეგხვდესთ ფოთში ჩამოხტომა რამოდენიმე დღით და გსურთ წყნარად მოისვენოთ, კარგი სახლი და წმინდა ქვეშაგები გქონდეთ, ჩამოხტნეთ ამ მეგრელის (ჭოჭუა) სახლში, რომელიც ვაგზალით თუ მიხვალთ ,,კავკასის“ სასტუმროს აქეთ მესამეა თუ მეორე იმედია როგორც მე, ისე თქვენ კმაყოფილნი იქნებით მასპინძლით, რომელიც ყველაფერს გიშოვნისთ, ყველაფერს მოგართმევსთ, ყველაფერს მოგიხერხებსთ, მაგრამ... რასაკვირველია, ფული უნდა ყველა ამაებისათვის.

ი—ა ი—ძე.

საპოლიტიკო მიმოხილვა

უარესი უბედურება კი შეუძლებელია, ღვთის წინაშე: სამი წელიწადია მას აქეთ, რაც ყველა შიშით მოელის ხვალინდელ დღეს; დაღამდება—ეშინიანთ. გათენდება—ეშინიანთ. ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი გაივაგლახი მოხდა, მაგრამ აბა თუ ბოლო მოეღოს ამ ორ წყალ შუა დგომას. ვის მივადგეთ, ვის ვკითხოთ საქმის ნამდვილი გარემოება და ვითარება, ან ვინ გვეტყვის? დიპლომატებისათვის ხომ ღმერთს ენა მარტო მისთვის მიუცია, რომ დამალონ თვისი აზრი, ამიტომ ამბობენ ერთს და ფიქრობენ კი სრულიად სხვას... მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც იძულებულნი ვართ ვათხოვოთ ყური მათ ლაპარაკს, რადგანაც იგი უმთავრესი მასალაა საქმის გაგებისათვის; უნდა ვათხოვოთ მეთქი ყური თუ არ იმას რასაც ამბობენ იგინი, იმას მაინც რასაც არ ამბობენ. ამ ჟამად ღირს შესანიშნავია ერთის მხრით სიტყვა, რომელიც წარმსთქვა ლორდმა ბიკონსფილდმა ერთს ყრილობაში, მეორეს

მხრით სიტყვა თქმული ავსტრიის იმპერატორის მიერ დელეგაციების სხდომის დაწყების დროს.

ლორდმა ბიკონსფილდმა სთქვა, სხვათა შორის, შემდეგი: ინდოეთზედ დაცემა შეუძლებელია; მაგრამ აქ საქმის გაჭირება კი შეუძლიან მტერს. როდესაც ამაზედ ჩამოგვივარდა ლაპარაკი, გაჩნდა სხვა გარემოებაც, რომელმაც მოითხოვა მძიმე დაფიქრება. მაშინ გადავწყვიტეთ ამისათვის ბოლო მოგვეღო და საჭირო ზომიერებაც მივიღეთ. როდესაც გავათავებთ (ზომიერებას) ჩვენ საზღვარს აღარავის შიში და ფიქრი არ ექმნება, იმედი მაქვს რომ მაშინ მეგობრულად ვიცხოვრებთ უახლოეს და იქმნება უშორეს მეზობლებთანაც“. შემდეგ ლორდი ბიკონსფილდი წამოესარჩლა პირშეკრულობას კიპრის კუნძულის თაობაზედ, რომლის ძალითაო მდინარე ეფრატის მდებარეობა ეხლა ოსმალეთს, ინგლისის მოზავეს უპყრია ხელშიო, და სთქვა: „ჩვენ შეგვეძლება ხელი მოვუმართოთ მას (ე. ი. ოსმალეთს) მცირე მანძილზედ. პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ მივყვებით, დააბრკოლებს ერთის ცალკე-სახელმწიფოის უპირატესობას.“ ბიკონსფილდი არ ეთანხმება იმ აზრს ვითომ ბერლინის ტრაკტატი არ აღსრულებულა; ჯერ მხოლოდ მესამედი გასულა იმ ვადისაო, რომელიც მის აღსრულებისათვის იყო დადებულიო; ყოველი მძიმე მუხლი მის განაჩენისაო დღე-დღეზე აღსრულდებაო. ბიკონსფილდს არა სჯერა აგრეთვე ვითომ რომელიმე სახელმწიფო ცდილობს აიცდინოს ბერლინის კონგრესის განაჩენი: „ინგლისის მთავრობა მოითხოვსო ბერლინის ტრაქტატის სრულს აღსრულებას, და თუ საჭირო იქმნება მიჰმართავს ინგლისის ხალხს, რათა ყოვლის ღონისძიებით და საშუალებით აღასრულებინოს ბერლინის ტრაქტატი“.

აქ ახალი არა არის რა ღვთის წინაშე, მაგრამ საქმე ის არის რომ საჯაროდ აღიარებულია მთელის ქვეყნის წინაშე ოსმანობის შესაძლებლობა. საქმე იმ გვარად არის დახლართული, რომ ყოველი მეცადინეობა ბერლინის განაჩენის აღსრულებისათვის უომრად შეუძლებელია.

ახლა დაუგდოთ ყური ავსტრიის იმპერატორს თუ რას ეუბნება დელეგაციებს. ჯერ უნდა მოვაგონოთ თუ რა არის დელეგაციები. ავსტრი-ვენგრიაში სუფევს, როგორც მოგეხსენებათ, ორი პარლამენტი — ერთი ვენგრიისა და მეორე საკუთრივ ავსტრიისა, გვარი სახელმწიფოის წარმოებას. ეს ორი ქვეყანა ცალ-ცალკე განაგებენ, გარდა სამხედრო და გარეშე საქმეთა. ამ საქმეთათვის სუფევს კიდევ მესამე პარლამენტი (თუ ასრე შეიძლება ვთქვათ) რომელნიც შესდგება იმ ორ პარლამენტის წარმომადგენელთაგან და რომელსაც უწოდებენ დელეგაციებს. აი რა უთქვამს ამ დელეგაციებისათვის ამას წინად ავსტრიის იმპერატორს: „მთავრობა უსათუოდ ეცდება რომ მთლად და სრულად აღსრულდეს ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილობა, დღეის იქით მთავრობა უმთავრესად იზრუნებს, რომ საჩქაროდ გარდაწყდეს სამხედრო საქმე ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში და უკანვე დავაბრუნოთ იქ მყოფი ჯარის უმეტესი ნაწილი მაინც. ამის იმედი მით უფრო უნდა გვქონდეს, რომ სხვა სახელმწიფოებთან ძალიან კარგადა ვართ“: იქაც ის არის მოხსენებული, რომ ერთის მხრით ბერლინის ტრაქტატი უნდა აღსრულდესო და მეორეს მხრით მშვიდობიანობა უნდა დამყარდესო. მაგრამ მოთავსდებიან ეს ორივე გარემოება ერთი ერთმანერთში თუ არა, ამისი კი რა მოგახსენოთ. ერთის სიტყვით ეს სამი წელიწადია სულ ერთი და იგივე ისმის მშვიდობიანობა უნდა დავიცვათო. ხელები კი ჰქავათ სწორე მოგახსენოთ.

რამდენიმე შენიშვნა ქართულის გალობის ნოტებზე გადაღებისათვის.

„ივერიის“ 39 ნომერში დაბეჭდილი იყო (დაწერის ორი კვირის შემდეგ) ჩემი სტატია, საეკკლესიო გალობაზე, რომელიც სიონის სობოროში მოვისმინე და ამ სტატიაში მოვიხსენე რა არის საჭირო გალობის ნოტებზე გადაღებისათვის. ორი რამ მოვიხსენეთ: 1) რომელ მგალობლების გალობა უნდა დაიწეროს და 2) ვინ უნდა დასწეროს, და რა ნოტებით დაიწეროს.

პირველ წინადადებაზე ვთქვით, რომ არჩეული მგალობლების გალობა უნდა დაიწეროს და მეორეზე ვთქვით, კარგმა ნასწავლმა უნდა დასწეროს მეთქი.

ახლა 43 ნომერში სტატია წავიკითხეთ „კიდევ ქართულს გალობაზე“ უფ. ქართული გალობის მოყვარესი და გვიკვირს იმისი გაჭრელებული ლაპარაკის კილო. ჩვენა ვთქვით გურულ-იმერულის გალობაც უნდა დაიწეროს და ქართლ-კახეთისაც, რადგანაც განსხვავებაა მათში. ცხადია, რომ კარგის შეტყობისათვის ყოველი განსხვავება უნდა იწერებოდეს. უფ. გალობის მოყვარე ამბობს, არაო;

ყველა გალობისაგან ერთი უნდა შესდგესო და ერთი ნოტები დაიწეროსო. საიდამ შეიძლება შესდგეს ერთის მართლა ნამდვილის (როგორც უწოდებს უფ. გალობის მოყვარე), თუ კი სხვა და სხვა კილო არ იქნება ნოტებზე გადაღებული? მაგრამ საქმე ის არის რომ ეს სულ ამაო ლაპარაკია. გამოცდით გამოჩნდა რომ ქართლ-კახეთში წირვის მეტი არა სცოდნიათ რა და ქართული ყველა გალობის მცოდნენი მხოლოდ იმერეთ-გურიაში დარჩენილან. ქალაქში მგალობლების მოწვევისაგან ეს გამოჩნდა.

ამას შემდეგ გადადის უფ. მოყვარე იმ საგანზე, რა ნოტებით უნდა დაიწეროსო; ჩემ აზრს ასხვაფერებს, ვითომც მე მეთქვას, რომ ევროპიული ნოტები ჩვენთვის არ გამოდგებოდეს. ამაზე ვრცელ, გაზვიადებულ და გაჭიანურებულ ლაპარაკს შესდგომია და ვითომ ამტკიცებს, ევროპიული ნოტებით უნდა დაიწეროსო. მე რო ვთქვი, ნოტების ანბანი ევროპიულის ხმებისთვის არის დაწერილი მეთქი, ამით ის კი არ მინდოდა მეთქვა, რომ ქართულისთვის არ გამოდგება. არა, მე ისა ვთქვი, რომ ევროპიულ ნოტებში არ არის ისეთი ნიშნები, ასოები, რომელიც გამომხატველი იყოს ზოგიერთის ქართულის ტონებისა. ევროპიული ნოტები გამოდგება და უნდა ის ვიხმაროთ, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგი ტონები ქართულის გალობისა თუ სიმღერისა ნამდვილათ არ იქნება დარჩენილი ამ ნოტებში. ევროპიული ხალხები სხვა ტონებს არ ხმარობენ ნაკლებ ნახევარ ტონებისა: მხოლოდ იქაურ მთის ხალხების სიმღერაში ისმის მეოთხედის ტონები. თუ სიმღერით არ ისწავლა ვინმემ, ნოტებით ვერ წაიკითხავს იმ სიმღერასა, რადგან არ არის მეოთხედი ტონის აღმნიშვნელი ნოტები. ჩვენს ქართულ გალობაში და სიმღერაში ყველგან გავრცელებულია მეოთხედი ტონები. მეოთხედი ტონი რომელიც ნახევარ ტონით ან ტრელით უნდა გამოიხატებოდეს ნოტებითა, ამისთვის მუზიკის კარგი მცოდნე უნდა. აგრეთვე კარგი მცოდნე უნდა, რომ შეიტყოს საზოგადოთ ქართულის გალობის და სიმღერების ხმის შეწყობა, კილო რომელია: ძველი ბერძნული, ეხლანდელი ევროპიული, თუ სხვა რომელი? მარტო რო ვთქვათ ევროპიულიო, ეგ ძალიან მოკლე თქმაა და მაგაზე დამყარებით ქართულ გალობის წერა, ხეპრეული წერა იქმნება. აი უფ. გალობის მოყვარეს ესენი უნდა სცოდნოდა, როდესაც ბერძნულ ანბანზე, და ჭ-ზე ლაპარაკობდა და ამბობდა მაშ ამა და ამან ქართული გალობა როგორ გადაიღო ნოტებზედა, თითქოს ერთის კაცის ნოტების დაწერა საბუთი იყოს. ყველაფრის დაწერა შეიძლება, სიტყვა ის არის, როგორ რა დასწერა.

ამაზე ლაპარაკის გავრცელება არა ღირდა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა რომ გალობის წერის დროს ძალიან მხედველობაში მიეღოთ მუზიკის კარგი მცოდნეს მოპოება. ამას ყურადღება იმიტომ მივაქციეთ, რომ ჩვენში ბევრნი არიან კილოკავად ნოტების მცოდნენი და ეს ცოდნა საკმაოდ ჰგონიათ გალობის ნოტებზე გადაღებისათვის. გვეფიქრებოდა ყოვლად უსამღვდელოესის ალექსანდრეს შეწირული ფული უქმად არ დაკარგულიყო ამისთანა წერაში; გვსურდა უკანასკნელი ღონისძიება ნოტებზე გალობის გადაღებისათვის ისე მოხმარებულიყო, რა დანიშნულებაცა აქვს.

კარგი ცოდნა მუზიკისა არ კმარაო, ამბობს უფ. გალობის მოყვარე, სახალხო ქართულის გალობის (და ჩვენ დავუმატებთ სიმღერას) ცოდნაც უნდაო. დიაღ პატივცემული აზრია და ყველასგან მისაღები. ნოტების დამწერმა კარგა მუზიკის მცოდნემ, რომ ესეც იცოდეს, დიაღ კარგია.

ამაზე ამბობს უფ. მოყვარე, რომ არიან ჩვენში გალობის მცოდნენიო. ესენი საზოგადოებამ გაგზავნოს უმაღლეს მუზიკის სასწავლებლებშიო, როგორც გაგზავნეს მხატვრობის შესასწავლებლათაო: ისწავლიან, დაბრუნდებიან და გალობის კარგნი გადამღებნი შეიქმნებიანო.

დიაღ კარგი აზრია, თუ არის ისე მომზადებული ვინმე, როგორც მხატვრობის შესასწავლად გაგზავნილი.

მაგრამ აქ ერთი აზრია გამოსათქმელი. ხშირად საზოგადოებას აყვედრიან ამასა და ამას ესა და ეს სწავლა უნდაო და ღონისძიებას კი არ აძლევენო. ადრე რამდენიმე შემთხვევა ყოფილა, საზოგადოება დახმარებია და უქმად კი ჩაუვლია. რათა? იმიტომ, რომ წასვლელს მხოლოდ სურვილი ჰქონია სხვაგან წავსლისა და მომზადებული კი არა ყოფილა. აქედამ ის გამოსულა, რომ საზოგადოების შემწეობას ნაყოფი არ მოუტანია. ამიტომ ახლა უფრო ფრთხილად ეკიდება საზოგადოება. ვისაც რამეში განსწავლა სურს, მარტო სურვილი არაფერს მოუტანს. საჭიროა კარგი შრომა, კარგი მიხვედრა საგნისა და ის რწმუნება, რომ ისევ საზოგადოებაში დაბრუნდება და შემოიტანს შეძენილ სწავლასა, თორემ უფალი ქორიძეც ბძანდებოდა მუზიკის შესასწავლებლად, რა გამოდგა?

ამ ყამად ჩვენ ქალაქში მუზიკის სასწავლო შკოლა არის პატივცემულათ მოღვაწეთა უფ. სავანლისა და მიზანდრიშვილისა. აბა გამოიკითხეთ სწავლობს 60 მოსწავლეში ორ ქართველ ქალს გარდა ერთი უმაწვილი კაცი? არა. საზოგადოებამ ვის უნდა მოჰკითხოს მუზიკის უმაღლეს სწავლის მსურველის ვინაობა და ვითარება თუ არ ამ შკოლის მოთავეთა?

ჩვენის აზრით ეს საგანი სულ სხვაა, და ქართული საეკლესიო გალობის ან სახალხო სიმღერების ნოტებზე გადადება სხვა არის. ამ ყამად აღძრულია სურვილი ნოტებზე გალობის გადადებისა და საზოგადოთ მოფენისა; ეს დღე რამდენათაც შესაძლოა ეხლავე აღსრულდეს.

რაც შეეხება მუზიკის სწავლას, ისწავლონ ქალაქის მუზიკის შკოლაში, ივარჯიშონ, შეისწავლონ მუზიკა, გალობა და სიმღერა ევროპიულიცა და ქართულიცა, რისაც შესწავლა შეიძლებოდეს ამ შკოლაში და შკოლას გარეთ და მაშინ, უეჭველია გზაც გამოჩნდება, თუ ტალანტი გამოჩნდა, ან თუ ეხლაც არის კაცი, ან ქალი მოუვება და ან წადილს აისრულებს. საზოგადოება ბეგრჯელ სამადურავის ღირსია, მაგრამ ისიც უნდა დავიხსომოთ, რომ საზოგადოების ყურადღების მოპოებისათვისაც სვინიდისიანი შრომა უნდა და ზოგჯერ ძალიან მძიმე შრომა.

პ. უ.

სახლი იყიდება.

(მოთხრობა ალფონს დოდესი)

ცუდად მიხურულ კარებზედ ეკიდა განცხადება — სახლი იყიდება. გარდა ამისა თითქო ამბობდა: ეს სახლი დაცლილია და ყველასაგან დატოვებული — ისეთი სიჩუმე სუფევდა გარშემო, მაგრამ შიდგ ვიღაც კი იდგა. ბანზედ მოჩანდა მოლურჯო კვამლი და ამოწმებდა შინაგან სიცოცხლეს, იმ გვარადვე მწუხარეს, როგორც იყო თვითონ ეს კვამლი სიწყალის ტეტხლისა. გარდა ამისა კარების ნახვრეტებში ჩანდნენ ვაკე ბეღლები ბალჩისა. შადრევანი და კედელზედ მიუყრდნობელი მებალეობის სხვა და სხვა იარაღი. ეს იყო ბეღლის პატარა სახლი, პატარა კიბით, რომელიც შუქსა სდებდა დაბლა სართულს და რომელზედაც გაფენილნი იყვნენ ყვავილების ქოთნები და სხვა და სხვა მინის ჭურჭელი; ეზოში, გამთბარ ქვიშაზედ მწკრივად იდგნენ სხვა და სხვა ყვავილები. თითქმის მთელს მაღალს დაჭყურებდა მზე. ხეხილებს ეყარა რკინის ბადე და თვისი ტოტა შიშველა შტოები მზისკენ ჭქონდათ მიშვერილი. ამ სიჩუმეში და მოწყობილობაში დაინახავდით მოხუცებულს კაცს ჩალის ქუდით, რომელიც მთელ დღე ტრიალებდა ბაღში, რწყავდა ყვავილებს, ასწორებდა კეკლებს და ჭკვეტავდა ხეხილებს.

არავინ არ იცნობდა ამ კაცს გარდა მეპურისა, რომელიც ყველა სახლს მიადგებოდა ხოლმე სოფლის ამ ერთად ერთ ქუჩაზე, ბერი-კაცს არავინ ეწყოდა ხოლმე. ხანდახან გამვლელი, განცხადებას რომ დაინახავდა ხოლმე კარებზედ, ზარს ჩამოჭკრავდა. პირველ ჩამოკვრაზედ სიჩუმის მეტი არა ისმოდა რა სახლში, მეორეზედ — მოისმოდა ფეხსაცმელის ფლაშუნი, ბერი-კაცი ტოტად გამოაღებდა ხოლმე კარს და გაჯავრებით ჭკითხავდა:

— რა გნებავთ?

— სახლი იყიდება?

— ჭო, ძალა უნებურად უპასუხებდა ხოლმე მოხუცებული; ჭო.... იყიდება, მაგრამ უნდა მოგახსენოთ კი რომ ძალიან ძვირად ითავსებენ.

მას უკან ისევ ჩაჭკეტდა ხოლმე კარს, გაჯავრებული დაბრუნდებოდა სახლში და ხელმეორედ თავს დაადგებოდა თვის ქვიშიან ეზოს და ბალჩას. მომსყიდელნი კი გასწევდნენ ხოლმე იავის გზაზედ და უკვირდათ მხოლოდ თუ რა უცნაური კაცი ყოფილა და თუ კი ასე გულით ჭსურს შეირჩინოს სახლიო, მაშ რაღად ჭყიდისო. მე კი მივხვდი ამ საიდუმლოს. ერთხელ სახლის წინ ჩავიარე და რაღაცა ხმაურობას მოვკარ ყური, ლაპარაკიც გავიგონე.

— მამავ, უნდა გავყიდოთ; ჭეშმარიტად უნდა გავყიდოთ.... აკი დაგვბირდი... მოხუცებული კაცი კანკალის ხმით უპასუხებდა:

— შვილებო, უკეთესი რაღა მინდა. ვნახოთ. ტუილუბრალოდ ხომ არ მიმიკრია განცხადება.

მე შევიტყე, რომ ეს მისი კაყები, მისი რძლები, პარიჟის მეწვრილმანეები ატანდნენ მას ძალას თავი დანებებინა მისთვის ფრიად საყვარელ კუთხისათვის. რისთვის? არ ვიცი, სწორედ მოგახსენოთ. ეს კი ნამდვილია: როდესაც ნახეს, რომ საქმე ძალიან წუნარად მიდიოდა, ყოველ კვირას ეწვევოდნენ ხოლმე, სტანჯავდნენ უბედურს და ძალას ატანდნენ სიტყვის აღსრულებისას.

ყველა ეს კარგად გავიგონე გზიდამ ერთს ჩუმ კვირა დღეს, როდესაც თვით მიწაც კი ისვენებს თვის შრო-

მისაგან. მეწვრიმანეები ცხადად ლაპარაკობდნენ ერთი-ერთმანეთში და სიტყვა „ფული“ მშრალადმო ისმოდა მათ ბაასში. სალამოთი გაიყრებოდნენ ხოლმე; მოხუცებული რამდენიმე ნაბიჯზედ გაატიალებდა, მერე შინისკენ დაბრუნდებოდა ხოლმე ბედნიერი—ერთ კვირაზედ მაინც გადავდე გაუიდვაო. შვიდის დღის განმავლობაში ისევ სიჩუმე მკვიდრდებოდა სახლში და ისმოდა მხოლოდ ფეხის გადადგმა ქვიშაზედ.

მაგრამ ოთხელ კვირას ბერიკაცი უფრო და უფრო შედიოდა ფიქრში. მეწვრიმასეები უკანასკნელ ჯანს იწუეტდნენ. პატარა ბავშვებიც მოჭუკანდათ—აგები როგორმე შეკვცდინოთო და დავიყოლიოთო. „აი, პაპაკ, სახლი რომ გაიყიდება, ყველანი ერთად ვიცხოვრებთ. რა ბედნიერნი ვიქმნებით!...“ კუთხე-კუთხე ლაპარაკობდნენ, სეირნობდნენ ბალჩაში და ხმა-მაღლა ანგარიშობდნენ.

ერთხელ ყური მოვკარ ერთს რძალს, რომელიც ამბობდა: „ეს გროშადაც არ ღირს სახლი... შეშათ თუ გამოდგება.“

ბერი-კაცი ყურს უგდებდა და ხმას კი არ იღებდა. მასზედ ისე ლაპარაკობდნენ, თითქო გარდაცვალებული ოთხილიეო კიდეც და მისი სახლი გაუიდეოიც. საწყალი კაცი დადიოდა წელ-მოხრილი, თვალებ დაცრემლილი და ჩვეულებისამებრ ეძებდა გასასვლელ ხვიელს, ან მოსავლელ უვავილს. ეტყობოდა—ისე საშინლად მისჩვეოდა ოვის სავუნძნავოს, რომ მასთან განშორება შეუძლებელი ღა იყო მისთვის. მართლა და, ბევრს ეუბნებოდნენ, მაგრამ ის მაინც დღე და დღე სდებდა სახლიდგან გასვლას. ზაფხულში, ხილი რომ მომწიფდებოდა, ამბობდა:

— „დაუცადოთ რთველს.... მასუკან ფიცხლავ გავიყიდით.... ქლიავის დრო გადიოდა, მწიფდებოდა ატამი, შემდეგ ყურძენი; ყურძენს მოსდევდა მშვენიერი მუქი შვინდი, რომელსაც თითქმის თოვლში ჭკრეფენ. შემდეგ დგებოდა ზამთარი. ყანები იშვლიეშებოდნენ, ბაღი იცლებოდა და გამეღელ-გამომეღელნი და მუშტრები აღარა ჩნდებოდნენ. მეწვრიმანეებიც კი აღარ აწუხებდნენ ბებერ კაცს. სამის თვის განმავლობაში მოსვენებაში იყო და ამზადებდა თესლებს, ჭკვეცდა ხე-ხილს, როდესაც გამოუსადეგი განცხადება ქანაობდა გზის პირას.

როდესაც დარწმუნდენ, რომ ბერი-კაცი ოთველ ღონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე მუშტრები აიცდინოს, მაშინ ვაჟებმა უკანასკნელ საშუალებას მოჭიდეს ხელი. მის სახლში დაბინავდა ერთი მის რძალთაგან, მეწვრიმანეს ცოლი, დიდა ადრიანადვე გამოპრანჭული, აღსავსე, იმ გვარ მიმზიდავის სახიერებით და გარეგანის გულკეთილობით, რომელიც შეადგენს აუცილებელ თვისებას ვაჭარ ხალხში, გზა თითქო მთლად ჩაიგდო მან ხელში. დიდა ადრიანად აღებდა კარს, ხმა-მაღლა ლაპარაკობდა და ღიმილით ეუბნებოდა გამეღელ-გამომეღელთა:

— „შემობძანდით, ნახეთ... ეს სახლი იყიდება...

გაუწყდა იმედი საწყალ მოხუცს. ხან-და-ხან, აგები ეს დედაკაცი დავიიწყოო, მოჭუკებოდა მიწის თხრას და თესვას, როგორათაც სულთ-მოძრავი ცდილობს აგები როგორმე შიში შეიმცირაოს. მაგრამ დედა-კაცი მუდამ უკან დასდიოდა და აწვალებდა.

— „თავი დანებეთ... სხვისთვის რალ სწევთ ჯაფასს?“ კაცი გაჩუმებული იყო, და უფრო ბეჯითად ჭკიდებდა ხელს მუშაობას. ბალჩისათვის თავის განებება მისთვის შეუძლებელი იყო; ეს ხომ იმის ნიშანი იქმნებოდა რომ აღარ უყვარს მას თავის ბალჩა. ამიტომ ხეხილებიც ოთველთვის გასხლულნი იყვნენ და გზებიც მოწმენდილნი.

მეიდეელნი არ ჩნდებოდნენ. ხმა დავარდა ომიანობისა; მეწვრიმანეს ცოლი კარზედ გაიცქირებოდა, გზას ეარშიყებოდა, მაგრამ ამაოდ—მტერის მეტი არა მოჩანდა რა. ამ ქალს დღე-და-დღე მოთმინება ელეოდა, პარიყში სქმე ჭქონდა და ეშურებოდა. გამიგონია როგორ აუგედრიდა თვის სიმამრს, ეჩხუბებოდა, კარს უბრახუნებდა. მოხუცებული კაცი მხოლოდ წელს იხრიდა და იკუნტებოდა, ხმას კი არ იღებდა და გულს ინუგეშებდა გაშლილ უვავილით. ქალალდს კი ზედ წარწერით სახლი იყიდება—ისევ ისე აქრობდა ქარი.

.... წრეულ რო დაბრუნდი სოფელში, სახლი იმავე ადგილას დამიხვდა; მაგრამ განცხადება კი აღარ ჭქონდა. კედლებზედ მიკრული იყო მხოლოდ დაფხვრეწილი სველი განცხადებები. რაღა კიოსხვა უნდა, სახლი გაუიდულა! უწინდელის ნაცრის ფერ ალაყაფის კარების მაგიერად დამხვდა მწვანედ შეღებილი დიდი კარი შემკული სხვა და სხვა მორთულობით; კარს იქით მოჩანდა ბალჩა. მაგრამ ეს აღარ იყო უწინდელი კეკლუცი ხეხილიანი ბალჩა. დერეფნის წინ ჩამოკიდებული დიდი ბრწყინვალე სუფილენძის ბურთი, რომელშიაც, როგოც სარკეში, დავინახე ორი გვამი: სქელი დაწითლებული კაცი, სკამზედ მჯდომი და სა-

შინლად მსუქანი ქალი, რომელსაც ხელში ეჭირა ყვავილების მოსარწყველი ლიტრა.

დასდგეს ახალი სართული, გასწორეს ღობე, და ამ ახალს სართულში, რომელსაც ჯერ წამლის სუნიც არ გასულოდა, მოისმოდა ყველასთვის ნაცნობი კადრიელები და პოლკები. ეს თამაშობის და დაკვრის ხმაურობა, სქელი ქალი—ყველა ეს გულს მიკლავდა. ვფიქრობდი იმ საწყალ მოხუცზედ, რომელიც ერთ დროს აქ დასეირნობდა ბედნიერი, გულ-დამშვიდებული. იგი ჩემს გუნებაში მეხატებოდა პარიკში, დიდ ჩალის ქუდით, ბნელ ქუჩებში მოსიარულე, დაღონებული და თავლ დატრემლილი იმ დროს, როდესაც მისი რძალი დგას გამარჯვებული დახლის წინ და სთვლის პაწაწა სახლის ფულებს...

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ვამგეობა მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე 18 §-ის ძალით ოც-და-რვა (28) ნოემბერს ამა 1878 წლისა, გამგეობაში, რომელიც არის ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზედ, თავადი ნიკარაძის სახლში, გაიყიდებიან საზოგადო ვაჭრობით უძრავნი მამულნი ქვემო მოხსენებულთა პირთა, ვადითი გადასახადთა, დაწესებულთა ბანკის წესდების §§ 31, 32 და 33-ის ძალით, მათ მიერ შემოუტანლობისა გამო:

წერეთელთა, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს ძეთა, ვასილი სიმონის ძისა და შტაბს-კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა—20 დესიატინი და 1,980 კვადრატული საჟენი სახნავი და სათიბი მიწა, სახელდობ „სარბეკი,“ მდებარე წინაულში ქუთაისის უელდისა. თავნი ვალი 2,000 მანეთი, შემოუტანელი გადასახადი 150 მანეთი და 50 კოპეიკი.

მათივე—ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვით-კირისა და მეორე ხისა, ეზოით, სახნავით, ვენახით და ტეითურთ, ზომით ოთხი (4) დესიატინი და 300 კვადრატ. საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, ბაღის ქუჩაზე. თავნი ვალი 6,560 მანეთი და 73 კოპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 782 მანეთი და 80 კოპ.

ღოლობერიძისა, გიორგი ბესარიონის ძისა,—ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი დუქნები, ეზოთურთ, ზომით 276 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, მიხაილის ქუჩაზე. თავნი ვალი 17,737 მანეთი და 64 კოპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 1,297 მანეთი.

ვაჭრობა დაიწყება ბანკისადმი ვალით იმ ხარჯების ზედ დამატებით, რომელიც ბანკს მოუხდა მამულის გასასყიდლად დანიშვნისამებრ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ განიხილონ გამგეობაში აღწერაები და საბუთები, რომელნიც გასასყიდელთა მამულთა შეეხებიან. თუ პირველი ვაჭრობა არ გამოდგა, მაშინ დაინიშნება მეორე და უკანასკნელი—ამა 1878 წლის 14 ქრისტეშობისთვისათვის (§ 24). მამულის მყიდველთ შეუძლიათ ბანკის ვალი თავის თავზე გადაიტანონ (§ 22).

Дозволено цензурою, Тифлисъ 1 Ноября 1878 г. Типографія Амб. Энфіаджіанцъ. რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე